№ SARAS-A-518452

საჯარო სექტორის აუდიტორი. ქონების შემფასებელი
ინდივიდუალური აუდიტორი
ბელა ვარდიძე

ქ. თბილისი, ტყვიავის ჩიხი № 10 ტელ: 559 23 00 44

ქ.თბილისი 19 აპრილი 2022

აუდიტორული დასკვნა

ჩატარდა შპს „მედია-ჰოლდინგი ჯორჯიან თაიმზი“-ს (ს.კ.204446867) ბუღალტრული ბალანსის და მასთან დაკავშირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მიმოხილვა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. წარმოდგენილ ანგარიშებზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა.

სამუშაო წარიმართა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და აქტების შესაბამისად. მიმოხილვა ძირითადად ეყრდნობა ანალიზურ პროცედურებს.

სამუშაოს პროცესში არ გამოვლენილა ისეთი რამ, რაც მიანიშნებდა, რომ წარმოდგენილი ანგარიშები უტყუარად სამართლიანად არ ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

აუდიტორი

ბელა ვარდიძე

პირ.#01030032601

ფინანსთა სამინისტროს,ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის

ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-518452

№ SARAS-A-518452
საჯარო სექტორის აუდიტორი. ქონების შემფასებელი
ინდივიდუალური აუდიტორი
ბელა ვარდიძე
ქ. თბილისი, ტყვიავის ჩიხი № 10 ტელ: 559 23 00 44

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1.ზოგადი ნაწილი

შპს „მედია ჰოლდინგი ჯორჯიან თაიმზი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 30/06/2003 წელს. მარეგისტრირებელი ორგანო-კრწანისი-მთაწმინდის სასამართლო. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 204446867, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ლერმონტოვის N10.

კომპანიის წილის მფლობელები:
მალხაზ გულაშვილი(პ.ნ.01026002603)-100%

კომპანიის დირექტორი:

დირექტორი - კახა მასხარაშვილი. (01017000702).

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ტელე მაუწყებლობა და რეკლამა.

კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საჯარო სექტორის აუდიტორი. ქონების შემფასებელი
ინდივიდუალური აუდიტორი
ბელა ვარდიძე

ქ. თბილისი, ტყვიავის ჩიხი № 10 ტელ: 559 23 00 44

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე სპეციალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

საჯარო სექტორის აუდიტორი. ქონების შემფასებელი
ინდივიდუალური აუდიტორი
ბელა ვარდიძე

ქ. თბილისი, ტყვიავის ჩიხი № 10 ტელ: 559 23 00 44

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კომპიუტერული ტექნიკა-5 წელი;
ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;
სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;
სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

№ SARAS-A-518452

საჯარო სექტორის აუდიტორი. ქონების შემფასებელი
ინდივიდუალური აუდიტორი
ბელა ვარდიძე

ქ. თბილისი, ტყვიავის ჩიხი № 10 ტელ: 559 23 00 44

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

№ SARAS-A-518452

საჯარო სექტორის აუდიტორი. ქონების შემფასებელი ინდივიდუალური აუდიტორი ბელა ვარდიძე

ქ. თბილისი, ტყვიავის ჩიხი № 10 ტელ: 559 23 00 44

ბალანსი	31-12-21	31-12-20
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	244284	17138
არამატერიალური აქტივები	0	631
განსაკუთრებული აქტივი	0	0
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	0	0
	244284	17769
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5003	1752
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	82516	35847
გადახდილი ავანსები და საგადასახადო ზედმეტობა	15396	12524
მარაგები	16167	7619
მისაღები დივიდენდები	0	0
მისაღები პროცენტები	0	0
	119082	57742
მთლიანი აქტივები	363365	75510
მთლიანი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2000	2000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(28842)	55991
გადაფასების რეზერვი	0	0
	(26842)	57991
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	337644	4823
ანარიცხები	0	0
გადავადებული შემოსავალი	0	0
	337644	4823
მიმდინარე ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	35226	2757
მოგების გადასახადის ვალდებულება	0	0

საჯარო სექტორის აუდიტორი. ქონების შემფასებელი
ინდივიდუალური აუდიტორი
ბელა ვარდიძე

ქ. თბილისი, ტყვიავის ჩიხი № 10 ტელ: 559 23 00 44

საგადასახადო ვალდებულებები	0	0
ავანსი	9249	1850
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	8089	8089
	52564	12696
მთლიანი ვალდებულებები	390207	17519
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	363365	75510

მოგება - ზარალის ანგარიშგება	**31.12.2021**
სატელევიზიო შემოსავლები	139105
სხვა შემოსავლები	251638
სულ საოპერაციო შემოსავლები	**390743**
სხვა შემოსავლები	3919
დასაქმებულთა ანაზღაურება	(187183)
ამორტიზაცია	(38985)
იჯარა	(33366)
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(219961)
სულ	(479496)
საოპერაციო მოგება	**(84834)**
ფინანსური შემოსავალი	
ფინანსური ხარჯი	
ფინანსური ხარჯი - წმინდა	-
მოგება დაბეგვრამდე	**(84834)**
მოგების გადასახადი	-
მოგება წლის ბოლოს	**(84834)**

№ SARAS-A-518452

საჯარო სექტორის აუდიტორი. ქონების შემფასებელი ინდივიდუალური აუდიტორი ბელა ვარდიძე

ქ. თბილისი, ტყვიავის ჩიხი № 10 ტელ: 559 23 00 44

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 1 იანვარი	2000		55991	57991
მოგება წლის ბოლოს/ზარალი			(84834)	(84834)
გაცემული დივიდენდი				
2021 წლის 31 დეკემბერი	2000		(28842)	(26842)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით
(1 ლარი)

№ SARAS-A-518452

საჯარო სექტორის აუდიტორი. ქონების შემფასებელი ინდივიდუალური აუდიტორი ბელა ვარდიძე

ქ. თბილისი, ტყვიავის ჩიხი № 10 ტელ: 559 23 00 44

	2021	2020
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(329570)	(16740)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	332821	4823
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	3251	-11917
სავალუტო კურსის ეფექტი	-	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1752	13669
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	5003	1752

აუდიტორი

ბელა ვარდიძე

პირ.#01030032601

ფინანსთა სამინისტროს,ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-518452